

ამოცანა 1

რამდენი ნატურალური გამყოფი აქვს 12-ს?

- ა) 3
- ბ) 4
- გ) 5
- დ) 6

ამოცანა 2

რას უდრის 19-ის 7-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი?

- ა) 4
- ბ) 6
- გ) 3
- დ) 5

ამოცანა 3

1,2 -ის 140% ტოლია

- ა) 1,2
- ბ) 1,44
- გ) 1,68
- დ) 16,8

ამოცანა 4

რა მანძილი გაიარა ავტომობილმა 4 საათის განმავლობაში, თუ მისი სიჩქარე იყო 65კმ/სთ?

- ა) 130კმ
- ბ) 240კმ
- გ) 260კმ
- დ) 300კმ

ამოცანა 5

რას უდრის x , თუ $\frac{x-1}{3} = \frac{3}{2}$?

- ა) $\frac{9}{2}$
- ბ) $\frac{3}{2}$
- გ) $\frac{11}{2}$
- დ) 0,1

ამოცანა 6

$$(a - 2)^2 + 4a =$$

- ა) $a^2 + 4$
- ბ) $a^2 - 4$
- გ) $a^2 - 4a + 4$
- დ) $a^2 - 2a + 4$

ამოცანა 7

რას უდრის წესიერი ექვსკუთხედის უდიდესი დიაგონალის სიგრძე, თუ მისი გვერდის სიგრძე 4-ის ტოლია?

- ა) 12
- ბ) 2
- გ) 4
- დ) 8


ამოცანა 8

ამოზნექილი ოთხკუთხედის სამი შიგა კუთხის სიდიდეა 40° , 80° და 140° . რას უდრის ოთხკუთხედის მეოთხე შიგა კუთხის სიდიდე?

- ა) 80° .
- ბ) 100° .
- გ) 90° .
- დ) 110° .

ამოცანა 9

ABC სამკუთხედში M და N წერტილები შესაბამისად AC და BC გვერდების შუაწერტილებია. იპოვეთ MN , თუ $MN+AB=12$.



- ა) 8
- ბ) 4
- გ) 6
- დ) 3

ამოცანა 10

იპოვეთ $x+y$, თუ $(x; y)$ წყვილი წარმოადგენს

$$\begin{cases} x + 3y = 5 \\ x - y = 17 \end{cases}$$

განტოლებათა სისტემის ამონახსნს.

- ა) -4
- ბ) 6
- გ) 8
- დ) 11


ამოცანა 11

რუკაზე ქალაქებს შორის მანძილი 10 სმ-ია. რა მანძილია სინამდვილეში ამ ქალაქებს შორის, თუ რუკის მასშტაბია 1:600 000?

- ა) 6 კმ
- ბ) 16 კმ
- გ) 60 კმ
- დ) 600 კმ

ამოცანა 12

ქალაქის მოსახლეობა დაყოფილია ოთხ ასაკობრივ ჯგუფად. დიაგრამაზე ნაჩვენებია სამი ასაკობრივი ჯგუფის პროცენტული რაოდენობები. რამდენ პროცენტს შეადგენს მეოთხე ასაკობრივი ჯგუფი?



- ა) 9%
- ბ) 12%
- გ) 11%
- დ) 10%

სწორი პასუხები

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
დ	დ	ბ	ბ	ბ	ა	დ	ბ	ბ	დ	ბ	ბ